№ 35 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. შაბათი, 14 თებერვალი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთის ფასი თვეში 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

შაბათს, თებერვლის 14-ს ოპერა მუშებისთვის

### აბესალომი და ეთერი

მონაწილეობენ: მანდენოვა, ცრმოლინსკაია, ვიშემირსკაია, სარაჯიშვილი, ინაშვილი, კვირის, თებ. 15 დავით კლდიაშვილის ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობის 30 წლის იუბილეი. ორშაბათს, თებერვლის 16-ს აგასოვა-კალანდაძის ბენეფისი „ქეთო და კოტე". სამშაბათს, თებერვლის 17-ს ა. გურესის ბენეფისი ორი ოპერა. I დავიდოვას მონაწილეობით „სევილიელი დალაქი. II „ალეკო". ოთხშაბათს, თებერვლის 18-ს ბალეტის ბენეფისი. I „სხვა და სხვა ერების ცეკვა". II „კავალერიის მოწლკვეება". III „გრძნეული ფლეიტა".

## ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა

საქმერო საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს ბ.ბ. აქციონერებს, რომ მარტის 7-ს, შუადღისთვის, ქ. ჭიათურაში საკრებულოს დარბაზში დანიშნულია წლიური საზოგადო კრება შემდეგი საკითხების განსახილველად: 1. წლიური ანგარიში გამგეობისა, ბალანსით ურთ 31 დეკემბრისთვის 1919 წ. დანაწილებით, სარევიზიო კომისიის დასკვნით. 2. მიმდინარე წლის მოქმედების გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა, აგრეთვე სარევიზიო კომისიის დასკვნით. 3. მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 4. საზოგადოების წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა. 5. არჩევნები სხვა და სხვა თანამდებობაზე.
188 1—1

## გორის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე 20 თებერვლიდან გორის საოსტატო სემინარიის შენობაში მოწყობილი იქნება სახალხო სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლათ კურსები. კურსები გაგრძელდება 20 თებერვლიდან 1 ივლისამდე კურსებზე მიღებულ იქნებიან არა ნაკლებ 4 კლასის განათლებით. კურსისტებს ექნებათ მუქთი ბინა გათბობით და განათებით. მსურველებმა უნდა გამოგზავნონ თხოვნიის სამაზროერობის სახელზე. 201 3—2

## ოფიციალური განყოფილება.

## დეკრეტი

**რესპუბლიკის ყველა სამოქალაქო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა.**

1. მიემატოს ამა წლის თებერვლის 1-დან ჯამაგირი რესპუბლიკის ყველა სამოქალაქო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს შემდეგი წესით:

| | | |
|---|---|---|
| ვინც იღებდა ამა წლის თებერვლის 1-დე ყველა მიმატებით თვეში ჯამაგირს არა უმეტეს 1500 მან. მიემატოს | . . . . . . . | 60% |
| ვინც იღებდა | 1501 მ.—1800 მ. . . . . | 55% |
| „ „ | 1801 მ.—2000 მ. . . . . | 50% |
| „ „ | 2001 მ.—2400 მ. . . . . | 50% |
| „ „ | 2401 მ.—3000 მ. . . . . | 35% |
| „ „ | 3001 მ. და ზევით . . . | 30% |

**შენიშვნა:** ამ მუხლში აღნიშნული მომატება გავრცელდეს აგრეთვე დამფუძნებელი კრების წევრებსა, მინისტრებსა და მათ ამხანაგებზე, სახელმწიფო კონტროლიორსა და მის ამხანაგზე.

2. სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა მოსამსახურეთ, რომელნიც კოლექტიურ ხელშეკრულების თანახმად იღებენ ჯამაგირს, მიემატოს 60%, განურჩევლად 1 მუხლში აღნიშნულ კატეგორიებად გაყოფისა ამა წლის იანვრის 1 დან.

3. თანახმად პირველ მუხლში აღნიშნულ წესისა მუშა მოსამსახურენი ჯამაგირის მიხედვით იყოფიან ექვს კატეგორიად და მომატება გატარებულ იქნეს ისე, რომ მუშა-მოსამსახურე წინა კატეგორიისა არ იღებდეს მომდევნო კატეგორიის მუშა-მოსამსახურეზე მეტს.

4. 1-ლ მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან წლიურად ამა წლის თებერვლის 1-დან.

| | |
|---|---|
| 1) დამფუძნებელი კრების წევრთა შედგენილობისათვის . . . . . . . | 234,000 მან. |
| 2) მინისტრთა და მათ ამხანაგებისათვის . . . . . . . . | 40,800 მან. |
| 3) სახელმწიფო კონტროლიორისა და მის ამხანაგისათვის . . | 4,500 მან. |
| 4) დამფუძნებელი კრების კანცელარიისათვის . . . . . . . | 46,655 მან. |
| 5) მთავრობის საქმეთა სამმართველოსათვის . . . . . . . | 22,970 მან. |
| 6) შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის . . . . . . . | 6,187,496 მან. |
| 7) სახალხო განათ. სამინ. . | 6,536,779 მან. |
| 8) საგარეო საქმეთა სამინ. | 107,741 მან. |
| 9) იუსტიციის სამინ. . . . | 1,831,934 მან. |
| 10) ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინ. . . . . | 1,592,089 მან. |
| 11) მიწათ-მოქმ. სამინ. . . | 4,923,750 მან. |
| 12) შრომის სამინ. . . . . | 31,160 მან |
| 13) სახელმწიფო კონტროლს | 287,220 მან. |
| სულ . . | 21,847,094 მან. |

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

10 თებერვალი, 1920 წ.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## დეკრეტი

**ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1918 წ. თებერვლის 23-ს დადგენილების შეცვლისა.**

1. ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1918 წ. თებერვლის 23 ს დადგენილება, რომლითაც შეჩერებულია სასოფლო მამულებზე სიმტკიცის ქაღალდების შესრულება, გაუქმებულ იქნეს იმ რაიონებისათვის, სადაც დამთავრებულია მემამულეების მიწების მიღება 1918 წლ. მარტის 7-ს კანონის თანახმად.

**შენიშვნა:** 1. პირველ მუხლში აღნიშნულ რაიონებს განსაზღვრავს მიწათ-მოქმედების მინისტრი სამაზრო ერობის წარდგენით და აცნობებს სათანადო ოლქის სასამართლოს ნოტარიუსს.

**შენიშვნა:** 2. დროებით, სათანადო კანონის გამოცემამდე, ყიდვის უფლება აქვს მხოლოდ იმას, ვისაც ნორმაზე ნაკლები მამული მოეპოვება და იმდენისა, რომ საერთოდ მისის მიწის რაოდენობა არ აღემატოს ამ რაიონში დაწესებულ ნორმას. მყიდველის მიწის რაოდენობას ამოწმებს თემის გამგეობა.

2. იმ რაიონებში სადაც მიწის მიღება ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, 1-ლ მუხლში აღნიშნულ სიგელის შესრულება შეიძლება მხოლოდ მიწათ მოქმედების მინისტის ნებართვით.

**შენიშვნა:** ზემოდ ნაჩვენებ მუხლში აღნიშნულ ნებართვის მისაღებად დაინტერესებული პირი წარუდგენს მინისტრს სათანადო სამაზრო ერობის მოწმობას იმის შესახებ, რომ მის მამულზე კანონით დაწესებული კონფისკაცია არა ვრცელდება.

3. ის პირი, რომელიც სიმტკიცის სიგელის შესასრულებლად ყალბ ცნობებს მიაწოდებს სათანადო დაწესებულებებს, დაისჯება 1918 წლის მარტის 7-ს კანონის მე-2 მუხლის თანახმად.

4. სოფლის მამულის საჯარო ვაჭრობით გაყიდვა და წინად შესრულებულ სიგელის დამტკიცება ექვემდებარება ამ დეკრეტის პირველ და მეორე მუხ. აღნიშნულ პირობებს.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან გამოცხადებისა „საქართველოს რესპუბლიკაში"

1920 წლის თებერვლის 10-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## დეკრეტი

**დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო კომისიის საჭიროებისათვის 2,000.000 მან. გადადებისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო კომისიის საჭიროებისათვის ორი მილიონი (2.000.000) მანეთი.

2) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. თებერვლის 10-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომრის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## დეკრეტი

**ბათომ-ნატანების რკინის გზის ნაწილის 1919-1920 წლ. საექსპლოატაციო ხარჯის დასაფარავად 7.167.350 მან. და სახაზინო რკინის გზის საერთო ხარჯთ-აღრიცხვის დამატებად 968.193 მან. გადადებისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან გზათა მინისტრის განკარგულებაში შვიდი მილიონი ას სამოცი შვიდი ათას სამას ორმოცდა ათი (7.167.350) მანეთი ბათომ-ნატანების რკინის გზის ნაწილის 1919 წლის იანვრის 1-დან 1920 წლის ივნისის 1-დე საექსპლოატაციო ხარჯის დასაფარავად და ცხრაა სამოცდა რვა ათას ას ოთხმოცდა ცამეტი (968.193) მანეთი სახაზინო რკინის გზის ამავე წლების საერთო ხარჯთაღრიცხვის დამატებად, სულ რვა მილიონი ას ოცდახუთმეტი ათას ოთხას ორმოცდა სამი (8.135.443 მან.,

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. თებერვლის 10-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარ **ნ. ჟორდანია.**

## დეკრეტი

**გზათა უწყების მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მომატებისა.**

1. ამა 1920 წლის თებერვლის 1-დან მოემატოს ჯამაგირი გზათა უწყების მოსამსახურეთ, გარდა სახაზინო რკინის გზისა და იმ წარმოებათა, რომლებშიაც კოლექტიური ხელშეკრულება არსებობს, შემდეგი პროცენტებით არსებულ ჯამაგირის მიხედვით:

| არსებული თვიური ჯამაგირი | პროცენტი მომატებისა. |
|---|---|
| 1500 მანეთამდე | 60% |
| 1501—1800 მან. | 55% |
| 1801—2000 მან. | 50% |
| 2001—2400 მან. | 40% |
| 2401—3000 მან. | 35% |
| 3000 მანეთზე მეტი. | 30% |

2. სახაზინო რკინის გზის მოსამსახურეთ ამა 1920 წლის იანვრის 1-დან მოემატოს ჯამაგირი შემდეგის ნორმით:

ა) ყველა მოსამსახურეთ, რომლებიც თოთხმეტ კატეგორიაში იმყოფებიან ან რომელთა ჯამაგირი მეთოთხმეტე კატეგორიის ჯამაგირს არ აღემატება, მიემატოს არსებულ ჯამაგირზე 60%.

ბ) დანარჩენ მოსამსახურეთ მიემატოს პროცენტები არსებულ ჯამაგირზე შემდეგნაირად

| არსებული თვიური ჯამაგირი | პროცენტი მიმატებისა. |
|---|---|
| 2400 მან. | 40% |
| 2401—3000 მან. | 35% |
| 3000 მანეთზე მეტი. | 30% |

3. იმ წარმოებათა მოსამსახურეთათვის, რომლებშიაც კოლექტიური ხელშეკრულება არსებობს, მიმატება მოხდეს აღნიშნულ ხელშეკრულობის თანახმად.

4. ახალ ჯამაგირის აღრიცხვის დროს მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ განსხვავება მოსამსახურეების ახალ ჯამაგირთა შორის არ იქნეს ნაკლები ვინემ ეს იყო იმავე მოსამსახურეების ძველ ჯამაგირთა შორის.

5. ამ დეკრეტის პირველ და მეოთხე მუხლში აღნიშნულ საჭიროებისათვის გაეხსნას გზათა მინისტრს ამა 1920 წლის ივნისის 1-მდე შემდეგი კრედიტი:

**ა) გზათა დეპარტამენტის ცენტრისათვის.**

| | |
|---|---|
| ადმინისტრატიული პერსონალისათვის . . . . . . . | 35800 მან. |
| არა ადმინისტრატიული პერსონალისათვის . . . . . | 52000 „ |
| ზედმეტი მუშაობისათვის . | 7560 „ |
| სადღიუროსათვის . . . . | 35000 „ |
| სულ . . | 131300 „ |

**ბ) სახაზინო რკინის გზისათვის.**

| | |
|---|---|
| ადმინისტრატიული პერსონალისათვის . . . . . . . | 8850000 მან. |
| არა ადმინისტრატიული პერსონალისათვის . . . . . | 58085720 „ |
| ზედმეტი მუშაობისა, მოადგილობისა და თავისუფლობისათვის . . . . . | 541600 „ |
| სადღიუროსათვის . . . . | 5155000 „ |
| სულ . . | 75306720 მან. |

**გ) გზატკეცილებისათვის.**

| | |
|---|---|
| ადმინისტრატიული პერსონალისათვის . . . . . . . | 180000 მან. |
| არა ადმინისტრატიული პერსონალისათვის . . . . . | 3995300 „ |
| ზედმეტი მუშაობისათვის . | 75450 „ |
| სადღიუროსათვის. . . . . | 125000 „ |
| სულ . . | 4380650 მან. |

**დ) ნავთსადგურისათვის.**

| | |
|---|---|
| ადმინისტრატიული პერსონალისათვის . . . . . . . | 147000 მან. |
| არა ადმინისტრატიული პერსონალისათვის . . . . . | 725500 „ |
| ზედმეტი მუშაობისათვის . | 40400 „ |
| სულ . . | 912900 მან. |

სულ ოთხმოცი მილიონი შვიდას ოცდათერთმეტი ათას ხუთას სამოცდაათი (80.731 570), მანეთი.

6. დაევალოს მთავრობას ერთი კვირის განმავლობაში შემოიტანოს დამფუძნებელ კრებაში რკინის გზის ტარიფის გადიდების შესახებ.

7. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. დეკემბრის 10-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## არა ოფიციალური განყოფილება

# შინაგან საქმ. სამინისტროში

**მატყლისა და თამბაქოს გაზიდვის აკრძალვა**

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიამ შემდეგი შინაარსის ცირკულიარულ წინადადებით მიმართა რესპუბლიკის ყველა სამაზრო ერობათა გამგეობებს და ტფილისის, ქუთაისის და ფოთის მილიციის უფროსებს: „თანახმათ მომარაგების სამინისტროს მომართვისა, გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება, რათა აკრძალულ იქნას ქალაქებიდან ქალაქებში მატყლის და თამბაქოს გადაზიდვა, მომარაგების სამინისტროს უნებართვოთ, ამ საგნებზე მონოპოლიის გამოცხადების გამო. შემოზიდვა კი ამ საგნებისა სოფლებიდან ქალაქებში თავისუფალია“.

**შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის შტატების დამტკიცება დამფუძნებელ კრების საბიუჯეტო კომისიაში.**

დამფუძნებელ კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, 11 თებერვალს მოწონებულ იქნა ცოტა შესწორებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთო კანცელარიის საერთო შტატები.

# იუსტიციის სამინისტროში

**თათბირი**

სამშაბათს, თებერვლის 10-ს, იუსტიციის მინისტრის რ. მ. არსენიძის თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი სამხედრო საგანგებო სასამართლოების დებულების გადასასინჯათ.

**მოქმედ კანონმდებლობის გადასინჯვა.**

იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას მოქმედ კანონმდებლობის გადასასინჯად იუსტიციის სამინისტროსთან გადამსინჯავ კომისიის დაარსების დეკრეტის პროექტი.

**სოხუმის ნოტარიუსი**

სოხუმის ნოტარიუსად გადაყვანილია გუდაუთის ნოტარიუსი მგალობლიშვილი.

**ცენტრალურ ბიბლიოთეკის დაარსება**

იუსტიციის სამინისტროსთან არსდება ერთი დიდი ბიბლიოთეკა, სადაც გადატანილი იქნება ბიბლიოთეკები ტფილისის სასამართლო უწყების ყველა დაწესებულებათა: სასამართლო პალატისა, ოლქის სასამართლოსი და სხვ.

**დანიშვნა**

იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის საერთო განყოფილების უფროსად დაინიშნა კიევის სასულიერო აკადემიაში კურს დამთავრებული, ყოფილი მასწავლებელი ტფილისის სემინარიისა ივ. სვ. ბერიაშვილი.

# შრომის სამინისტროში

**მექუდეების პროტესტის გამო.**

სატარიფო პალატამ უყურადღებოთ დასტოვა ტფილისის მექუდეთა პროტესტი მუშა-მოსამსახურეთა გადიდებულ ხელფასის შესახებ და მათი საჩივარი დაუსაბუთებლათ სცნო.

**უქმე დღეებში მუშაობის შესახებ.**

ქუთაისის შრომის კომისარმა შრომის სამინისტროს შეატყობინა, რომ იქაურ აფთიაქების მეპატრონენი უქმე დღეებში მუშაობისთვის მუშა-მოსამსახურეებს არაფერს არ აძლევენ სამინისტრომ განუმარტა, რომ ამ საკითხის შესახებ ძველი კანონი ჯერჯერობით ისევ ძალაშია მუშაობის დროის ახალი კანონის შემუშავებამდე.

**მეეზოვეთა და მეკარეთა ჯამაგირების გადიდება.**

მეეზოვეთა და მეკარეთა კავშირმა სთხოვა შრომის სამინისტროს გაუდიდდეს მათ ჯამაგირები, რადგან ისინი საჭმელ-სასმელს არ ღებულობენ. სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა მეეზოვეებს და მეკარეებს 1 იანვრიდან ჯამაგირები 1300 მანეთამდე გაუდიდა და წინადადება მისცა სახლის პატრონები და ხელზე მოსამსახურეთა კავშირებს, რომ სახლის პატრონები ჯგუფებათ დაყონ, რათა შემდეგი სატარიფო პერიოდისთვის მეეზოვეებს და მეკარეებს კატეგორიების მიხედვით დაუნიშნონ ჯამაგირები.

# განათლების სამინისტროში

**სკოლის რეფორმა.**

განათლების მინისტრის განკარგულებით შაბათს,14 თებერვალს, საღამოს 7 საათზე ტფილისის ვაჟთა მე 4 გიმნაზიაში დანიშნულია განათლების სამინისტროსთან არსებულ სკოლის რეფორმის კომისიის სხდომა. განსახილველია შემდეგი საკითხები: სკოლის რეორგანიზაციის სქემა და სკოლის რეფორმის კომისიის მუშაობის გეგმა.

**სკოლების შესაკეთებლად.**

განათლების სამინისტრო ამ ჟამათ იმუშავებს, მთავრობაში წარსადგენათ მოხსენებას რესპუბლიკის სკოლების შენობათა შესაკეთებლათ და საამშენებლო ფონდის შესაქმნელათ საჭირო თანხის გაღების შესახებ.

# აზერბეიჯანის მთავრობის პასუხი ჩიჩერინს.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი, 28 იანვრის რადიო დეპეშით მოსკოვიდან საერთაშორისო განყოფილებათა წინაამდეგ, ამტკიცებს, რომ მინისტრი ხანხოილის განცხადება არ ეთანხმება საზოგადოთ ცნობილ ფაქტებს, და თავის მხრივ მოჰყავს ფაქტები, რომელთაგან ბევრს ადგილი არ ჰქონია და ზოგიც კი სისწორით არ არის გაშუქებული, რაც აიხსნება იმით, რომ საბჭოთა მთავრობას არ აქვს სათანადო ინფორმაცია აზერბეიჯანში მომხდარ ამბებისა. აზერბეიჯანის მთავრობა, სთვლის რა თავის თავს ნეიტრალურათ რუსეთში მომხდარ ბრძოლაში, გააძევა ქ. ბაქოდან გენერალი პრჟევალსკი თავისი შტაბით, და არა თუ აბრკოლებდა რუს ოფიცერთა მობილიზაციას დენიკინის ჯარისთვის, არამედ, კატეგორიულათ აუკრძალა გენ. პრჟევალსკის მოეთავსებინა გაზეთში განცხადება ქ. პეტროვსკში რუს ოფიცერთა მობილიზაციის შესახებ. აზერბეიჯანის მთავრობა არა თუ ეწინააღმდეგებოდა ოდესმე დაღესტანისა და ჩრდილო-კავკასიის მთიელთა ინტერესებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გენ. დენიკინთან, პირიქით ის საშუალებას ხმარობდა და ხმარობს რათა დახმარება აღმოუჩინოს მათ ამ ბრძოლაში. და ცდილობდა დენიკინის ძალების გაძევებას მათი ტერიტორიიდან. აგრეთვე უსაფუძვლოა ჩიჩერინის ცნობა აზერბეიჯანის მთავრობისა და მოხალისეთა რაზმის ურთიერთ შორის განწყობილებას შესახებ. გულწრფელათ მიესალმება რა საბჭოთა მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილებას იხელმძღვანელოს ერთა თვითგამორკვევის პრინციპით, აზერბეიჯანის მთავრობა მით უფრო სამწუხაროთ აღნიშნავს, რომ ჩიჩერინის არც ერთ რადიო დეპეშაში ნათლათ და კატეგორიულათ არ არის გამოთქმული საბჭოთა მთავრობის მიერ აზერბეიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობა, იმ დროს როდესაც მან იცნო პოლონეთის, ფინლიანდიის დაესტონეთის დამოუკიდებლობა, მიუხედავათ იმისა რომ მათ საბჭოთა მთავრობა იარაღით ხელში ებრძოდა. ამისათვის აზერბეიჯანის მთავრობა სთვლის რა საჭიროთ და სასურველათ კეთილ-მეზობლურ განწყობილების შექმნას რუსის და აზერბეიჯანის ერთა შორის, სცნობს, რომ ყოველ გვარი მოლაპარაკება მათ შორის ამ საკითხის და სხვ. საკითხების შესახებ შეიძლება მოხდეს მხოლოდ საბჭოთა მთავრობის მიერ აზერბეიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობის საფუძველზე.

აზერბეიჯანის რესპუბლიკის გარეშე საქმ. მინისტრი ხ.—ხოილი.

1920 წ.—თებერვლის 15.

# დამფუძნებელი კრების კომისიებში.

**ხალხთა ლიგის საქართველოს განყოფილების** სხდომა დანიშნულია შაბათს, თებერვლის 14 სასახლეში დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის ბინაზე. კრება დაიწყება დილის 11 საათზე.

**ქართული თეატრი.** დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა მიიღოს ზომები, რათა ქალაქის მიერ ახლად ჩამორთმეული ყოფილი არტისტიული თეატრი გადაეცეს ქართულ დრამატულ საზოგადოებას ქართული დრამისათვის.

**კონსერვატორია.** დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ დაადგინა გასახელმწიფოებრივებულ იქმნეს ტფილისის კონსერვატორია.

**დ. კლდიაშვილის იუბილე.** დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ დავით კლდიაშვილის იუბილეზე თავის წარმომადგენლად აირჩია ივანე გომართელი და დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა გადაიდოს ათი ათასი მანეთი იუბილიარისათვის გადასაცემად.

**ეროვნული ჰიმნი.** 11 თებერვალს სახელმწიფო თეატრში შესდგა საგანგებო შეერთებული სხდომა, რომელსაც დაესწრნენ დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის წევრნი, კომპოზიტორები, ხელოვანნი და მუსიკოსნი. კრებამ განიხილა ქართული ეროვნული ჰიმნის ოფიციალურად აღიარების საკითხი. ხანგრძლივი მსჯელობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა ჰიმნის ოფიციალურად აღიარების საკითხი მოიხსნას და სხვა დროისთვის გადაიდოს.

# ბათუმის გარშემო

სტამბოლის გაზეთ „Jlie orient Nevs“-ში (ინგლისელების ოფიციალური სამხედრო ორგანო) იანვრის 30 ნომერში დაბეჭდილია მეთაური წერილი ბათომის შესახებ; მოგვყავს წერილს შინაარსი შემოკლებით:

ახალმა დადგენილებამ აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის ფაქტიურ დამოკიდებლობის ცნობის შესახებ შეიძლება გააჩსენოს ხალხს, რომ ბათუმის პროვინცია ეხლა ბრიტანიის ოკუპაციის ქვეშ იმყოფება. ბრესტ ლიტოვსკის სამარცხვინო ზავის შემდეგ ოსმალოს ჯარები შეუდგნენ ბოლშევიკებთან შეთანხმების ასრულებას და გაიწიეს ბათომისკენ; ქართველი ჯარები, რომელთაც იმის ცოტა წინად დაიკავეს ქალაქი ბათომი, იქიდან ოსმალებმა გარეკეს. არმისტისის შემდეგ ბრიტანიის ჯარები გაიგზავნა ამიერ-კავკასიის საოკუპაციოდ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ცოტა ხნის შემდეგ ისინი ბაქოდან და ტფილისიდან გამოვიდნენ, მაგრამ ბათუმის პროვინციაში ჯარის ნაწილი დარჩა და ეხლაც იქ არის.

ბათომი პირველად ბერძნული ადგილი იყო, როგორც უჩვენებს სახელი „ბათოს ლიმენ“, ღრმა ნავთსადგური—მაგრამ ისტორიულ დროში ის იყო ღარიბი ოსმალური სოფელი ვიდრე რუსებმა არ დაიკავეს რუს-ოსმალოს ომის შემდეგ და გადააქციეს მნიშვნელოვანეს ადგილად. მოსახლეობა ბათომში ყველა ეროვნებისაა.

ბათომის პროვინციის ოკუპაცია უნდა განხილულ იქნას როგორც ნამდვილი გამარჯვება. აქ არის, ვიცი ზოგი რამ ისეთი, რაც შეიძლება შეცდომად ჩაითვალოს, მაგრამ ამ საქმეს ვერავინ აასრულებდა უკეთ, ვიდრე ბრიტანელებმა აასრულეს. არასოდეს რა თქმა უნდა არავინ არა მდგარა ასეთი დიდი დაბრკოლების წინ და არავის ჰქონია ისე ნაკლები ინტერესი, როგორც ბრიტანელებს.

ბათომი ველური ადგილია, სავსე ველური ხალხით და ლაპა სანავარდოთ ველური მეზობლებისა. ამისდა მიუხედავად ჩვენი ნაყოფიერების საბუთად იქ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ აქ ათასობით ხალხი მოგროვდა უკანასკნელ წლის განმავლობაში მთელ კავკასიონიდან; ეხლა სხვებს კიდევ ათასობით უნდოდათ იქ მოსვლა, რომ შეეძლოთ. ქალაქი, სადაც ჩვეულებრივ 20,000 ნაკლები მცხოვრები იყო, ეხლა დასახლებულია 80,000 მეტის მცხოვრებით. უეჭველად ეს უუფრთხოესი ადგილია (the satest plare) ამიერ-კავკასიაში ჩვენ მოვაწყეთ საპოლიციო ძალა, რომელიც იცავს ქალაქში წესიერებას სრულიად და ამასთან პოულობს თავისუფალ დროს კვირაობით პარკში სათამაშოთ.

პროვინციაში სრული სიწყნარეა ჩვენი მოწყობილი მილიციის გავლენით. თუმცა შინაურობაში სამუშაო საქმე ნაკლებად არის, რისთვისაც სხვა და სხვა მთავრობებმა აქ გაკიცხვა დაიმსახურეს, პროვინცია ინახავს თავის თავს ჩვენი ერთი წლის ოკუპაციის განმავლობაში და ისე, რომ არავითარი გრძნობა ურიგო შეწუხებისა არ არსებობს. არის მშვენიერი ფოსტა-ტელეგრაფი, რომელიც მუშაობს შიგნით და აგრეთვე გარეშე ქვეყნებთან. უმთავრესი სიძნელე არის სურსათით. ბათომი იძლევა ცოტა საკვებს ან სულ არაფერს. შეუძლებელია მარტო ჩაით და მანდარინით—და ჰინტერლანდიც უძლური იყო ეშველა მაინც. 80,000 ადამიანი იკვებება და იკვებება უხვად. ხანდახან უკანასკნელ წელს, მართალია, მეორე დღის სარჩოც ძლივს იყო, მაგრამ ყოველთვის კეთდებოდა რამე მცხოვრებთა გასაჭირისაგან დასახსნელად. თვითონ ბრიტანიის ჯარები თავის რაციონის ნახევარს და ნათხარს იღებდენ იმისთვის, რომ ათასობით გაჭირვებულებს საჭმელი ჰქონოდათ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ზოგიერთი ინგლისურის მოლაპარაკე რუსი, რომელიც სამხრეთ რუსეთის ბრიტანიის მისიაში მსახურობს, გაიგზავნება ბათომში, რომ ჩვენებს მიეშველნენ. თუ ეს მოხდა, მე დარწმუნებული ვარ, ნახევარი იმ დაბრკოლებათა, ჩვენ რომ ვხვდებით, მოისპობა და ამასთან ერთად თითქმის ყველა ის საქმე, რასაც პროვინციის მცხოვრებნი უჩივიან.

ეს მაინც მხოლოდ პალიატივა იქნება. ის, რაც ყველას უნდა და რაც ყველასათვის საჭიროა იცოდეს, არის მომავალი მდგომარეობა პროვინციისა, რომ შესაძლებელი იყოს შემუშავდეს სასარგებლო სქემა აღებ-მიცემობის, ტრანსპორტის და სხვა. თვით ხალხის მონაწილეობით.

საერთოდ აასრულა რა ყველა ეს არა ჩვეულებრივ მძიმე მდგომარეობის დროს ამიერკავკასიაში და მეზობელ ქვეყნებში ბათომის ბრიტების მიერ ოკუპაციამ, ცხადია,, ბრწყინვალედ გაამართლა თავისი თავი და გამართლებს იმ ნდობას, რომლითაც იყვნენ აღჭურვილნი ამ მძიმე საქმეში ჩაბმული ოფიცრები.

# დეპეშები.

**(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)**

**ფრანგული პრესა.**

...გერმანელებმა დაამტკიცეს თავისი არა კეთილსინდისიერება; მათ დასთმეს მხოლოდ რეპრესიების შიშითა და ლატიშების რიგაზე მოწოლის გამო. ისინი ჩვენ გვაწვდიდენ ყალბ ცნობებს და საფრანგეთის ოფიცრების მიმართ მიმართავდენ დაშინებასა და მუქარას. მასალის მოტანა ნორმალურათ გრძელდება. მაგრამ მათთვის უმთავრესია, რომ სამხედრო პირობების [შე]ასრულებას გვერდი აუხვიონ. ისინი აცხადებენ: 10.000 კაცის საშუალებით ჩვენ არ შეგვიძლია შინაური წესრიგიც დავიცვათ და რუსულ ბოლშევიზმსაც ვებრძოლოთ. ამგვარათ, სხვა და სხვა სახელწოდებით გერმანიას 45.000 ჯარის-კაცი ყავს პოლიციის სახით. გერმანიის მთავრობა ამტკიცებს, რომ გენერალი ნისელი საბჭოთა მთავრობასთან არის შეთანხმებულიო. გერმანული ოფიცრები წითელ ჯარში იქნებოდენ, რომ ამის უფლება მიეცათ, დიდი დაბრკოლებანი შეიქმნება გერმანელებისა და ბოლშევიკების შეთანხმებით. ანტანტა დაინტერესებულია იმ ერთა პოლიტიკით, რომელნიც ბოლშევიკებს არს აკრავენ; მას უნდა აეძულებია ისინი საერთო შეთანხმებაზე (ესტონეთი, პოლონეთი, ფინეთი).

ვოლფის სააგენტოს დეპეშა ამტკიცებს: ბელგიას არ ქონდა უფლება დამნაშავეთა მოთხოვნისა, რადგანაც მან 1919 წლის ნოემბერში გერმანია—ბელგიას შორის დადებულ ფინანსიურ კონვენციაში ამაზედ უარი განაცხადა. ბელგიის მთავრობა ოფიციალურად უარყოფს ამას: მეფე ალბერტის მთავრობას ერთი წუთითაც კი არ უარუყვია დამნაშავეთა მოთხოვნა.

**მოსკოვი.** თებერვლის 12. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

**სამხედრო ცნობა.** თებ. 12. ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით ზაგორსკოეს რაიონში გამაგრებული პოზიციების ხელში ჩასაგდებათ ბრძოლა სწარმოებს. დენისლავსკოპლესეცკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მტრის პოზიციები დაიჭირა. ნარვის რაიონში ჩვენ მხარეზე მტრის 100 ჯარის კაცი გადმოვიდა. პიტალოვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი აიღო. მოზირის და ჟიტომირის რაიონში ჩვენი მდგომარეობა არ შეცვლილა. ოდესის რაიონში ჩვენი ჯარი მტერს სდევნის, მიუახლოვდა ქალ. ოვიდიოპოლს. წინასწარ გამოანგარიშებით ოდესის რაიონში ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 3 გენერალი, 200 ოფიცრამდე, 3000 ჯარის კაცი და ასზე მეტი ზარბაზანი, 4 ჯავშნიანი მატარებელი, 4 ჯავშნიანი ავტომობილი.

**ნახიჩევანი.** 6 თებ. საპნის ქარხნის მუშებმა მიტინგზე დაადგინეს დღენახევრის ფასი გაიღონ პეტროგრადისა და მოსკოვის მუშებისათვის პურის საყიდლათ.

**ომსკი.** 7 თებ. ამურის გლეხობამ, რომელიც პარტიზანულ რაზმებს ეყრდნობდა, რევ. კომიტეტების დაარსება დაიწყო. მათ სალიკვიდაციოთ გაიგზავნა იაპონიის და სემიონოვის რაზმები. სემიონოვის მონგოლთა რაზმმა დიდი მხეცობა გამოიჩინა. პარტიზანული რაზმის საწინააღმდეგოთ გაიგზავნა იაპონიის ჯარი, რომელიც პირველ შეტაკების თანავე იძულებული შეიქნა ბლაგოვეშჩენსკისაკენ დაეხია.

**მოსკოვი.** თებერვლის 12 შრომის ფრონტზე. „პრავდას“ მოწინავე რკინის გზის ტრანსპორტის მოწესრიგებას აღდგენასთან ერთად ყურადღებას აქცევს წყლის ტრანსპორტის მოწესრიგებას. პროვინციამ ზოგიერთ ადგილას უკვე მიაქცია ამას ყურადღება. ყველა ამხანაგებმა, რომლებიც კი წყლის ტრანსპორტებში მუშაობენ, ყოველივე ღონე უნდა იხმარონ, რომ გაზაფხულის დასაწყისში ჩვენი მდინარის ფლოტი განახლებულ იქნეს.

**ვლადიმირი.** ნამქერის გამო რიაზან-ვლადიმირის რკინის გზა შეჩერდა. გაიგზავნა მშრომელი რაზმი, და რამდენიმე დღის შემდეგ მატარებლების მიმოსვლა და სათბობი მასალის შემოტანა განახლდა.

**მოსკოვი,** 13 თებერ. პრესის მიმოხილვა. ლოიდ ჯორჯმა, თემთა პალატაში თავის უკა-

ნასკნელ სიტყვაში სთქვა, რომ რუსეთის ძალდატანებით აღდგენა შეუძლებელია. მისი გადარჩენა მხოლოდ ვაჭრობის განახლებით შეიძლება. „იზვესტიის" მოწინავეში სტეკლოვს ეს განცხადება ძლიერ პირმოთნეობათ მიაჩნია და ამტკიცებს, რომ ფრონტის გამოცვლის მიზეზი სხვაგან მარხია. სახელდობრ, ლოიდ ჯორჯის განცხადების უკანასკნელ ნაწილში, სადაც ამბობს ანტანტას რუსეთის დაუმუშავებელი მასალა ეჭირვებაო. როგორც სჩანს თურმე—სწერს სტეკლოვი, ლოიდ ჯორჯი არაფერზე არ ფიქრობს, გარდა ჩვენი გადარჩენისა. აი როგორი კეთილი ხალხია ანტანტის იმპერიალისტები. ნამდვილად კი, მიზეზები, რომლებმაც აიძულეს ინგლისის იმპერიალისტები, შეეცვალათ თავისი დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთის მიმართ, უფრო პროზაიულია, უფრო საქმიანობის ხასიათი აქვს. მართალია, ლოიდ ჯორჯი ამტკიცებს, რომ კომერცია ბოლშევიკების გაკეთილშობას ხელს შეუწყობს, მაგრამ ეს ყოველივე ფასონია. საქმე იმაშია, რომ ევროპას ესაჭიროება ყოველივე ის, რაც აქვს რუსეთს, რუსეთის დახმარებით ევროპას იმედი აქვს გამოკეთების და რადგან ძალდატანებითმა გზამ ვერ გასჭრა, ევროპის ბურჟუაზიას სურს შეეცადოს რუსის ნედლი მასალის მიღებას მშვიდობიანი, კომერციული გზით. უბრალო და ნათელია. ლოიდ ჯორჯი ხაზს უსვამს, რომ კომერციული დამოკიდებულების აღდგენა არ ნიშნავს ბოლშევიზმის აღიარებას, ჩვენ ამას არც ვთხოვთ. ასეთს აღიარებას ჩვენ მოველით ხალხისაგან და არა მათი მთავრობებისაგან.

**საზღვარ გარეთ. ლიონი.** 10/2. სიცივესა და სიმშილისაგან შეწუხებული სტამბოლი მოუთმენლად მოელის თავისი ბედის გადაწყვეტილებას. შესაძლებელია, რომ სტამბოლი საბერძნეთს გადაეცეს? პირველი საკითხი, რომლითაც მდაბიო მცხოვრებნი მიმართავენ უცხოელებს. უმაღლესი კლასები ფიქრობენ, რომ ეს ომს გამოიწვევს. ყოველ დღე იზრდება უკმაყოფილება ბერძნების მიერ სმირნის ოკუპაციის გამო. ფიქრობენ ზავი შეუძლებელია თუ ბერძნებს იმ ოლქების კონტროლი გადაეცათ, რომლების მცხოვრებთა უმეტეს ოსმალოები შეადგენენ.

**ბერლინი**, თებერვ. 12. შლეზვიგის პირველი ზონის პლებისციტის შედეგი: დანიის სასარგებლოდ 60,000 კაცმა მისცა ხმა, გერმანიის სასარგებლოდ კი 30,000 კაცმა.

**ლიონი**, თებერვ. 11. საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ დაადგინა 1919 წლის მოსავალზე დაიცვას მტკიცე ფასები. მინისტრთა საბჭომ სურვილი გამოსთქვა, რომ მოხდეს მთელი ხორბლის რეგისტრაცია, მისი განაწილება და აგრეთვე რეკვიზიცია.

დენიკინის მაგიერ სამხრეთ ანტიბოლშევიკურ ჯარის მთავარ სარდლად ინიშნება 60 წლის გენერალი ვრანგელი. დენიკინს არ სურს ძალა-უფლების დატოვება.

## სურსათი საქართველოსათვის.

გარეშე საქმეთა სამინისტრომ ტფილისში მყოფ იტალიის სამხედრო მისიის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელ პოლკ. მიქელისაგან შემდეგი ბარათი მიიღო: „თქვენო აღმატებულებავ, ეს არის ეხლა მივიღე რომიდან საქართველოს მისიის მიერ გამოგზავნილი შემდეგი დეპეშა თქვენზე გადმოსაცემად:

თებერვლის 6 ტარანტოდან გამოვიდა გემი რომელსაც საქართველოსათვის მოაქვს ფქვილისა და სხვა საქონლის პირველი პარტია. ამავე გემით გამოემგზავრა სენატორ კონტის საგანგებო მისია. გემი ფოთს ჩამოვა დაახლოვებით თებერვლის 14-ს. გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება, რომ მის დასახვედრად ტფილისიდან ფოთში გაიგზავნოს სპეციალური ვაგონი და მომზადდეს მისთვის ბინა. საბახტარიშვილი".

გაუწყებთ რა ამას, მოგახსენებთ, რომ თანახმად ჩემ მიერ მიღებულ გაზზას დეპეშისა, ხსენებულ გემს სტამბოლში მოელიან მხოლოდ დღეს თებერვლის 13 ს, რის გამოც იგი ფოთში ვერ ჩამოვა 15 თებერვლის ადრე. შემდეგ მიღებულ ცნობებს მოგახსენებთ".

## მუნიციპალური ცხოვრება.

### ქუთაისის ქალაქის საბჭოში.

ქუთაისის ქალაქის საბჭომ თავის მორიგ სხდომაზე 3 თებერვალს ევროპაში საქართველოს მთავრობის ეკონომიური მისიის წარმომადგენელი ინჟინერი მიხეილ ყაუხჩიშვილის მოხსენებით ქუთაისში წყალსადენის მოწყობის შესახებ, შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „შერეულ პრინციპის საფუძველზე (ესე იგი ფირმასთან საზიაროთ) ეხლავე შეუდგეს საბჭო ქალაქში წყალსადენის მოწყობი საქმის მოგვარებას, ქუთაისში წყალსადენის მოწყობის საქმეს დაახლოებით ოცდა თუთხმეტი წლის ისტორია აქვს. 35 წლის მიმდინარეობაში სხვა და სხვა ცნობილი ინჟინერების მიერ (მიხაილოვი, დადიანი, კანცელი, მანკევსკი და სხვა) ქუთაისში წყალსადენის მოსაწყობათ არა ერთი და ორი პროექტი შეთხზულა, ამავე საკითხზე სხვა და სხვა დროს არა ერთი და ორი დადგენილება მიუღია საბჭოს, მარა ეს პროექტები, დადგენილებები ზოგჯერ ბიუროკრატიული მთავრობის ხელის შეშლით, ზოგჯერაც თვით საბჭოებისავე უმოქმედობით მხოლოდ დადგენილებებათ, პროექტებათ დარჩენილა და ქალაქს წყალსადენი არ ღირსებია. 3 თებერვალს ქუთაისში, ახლო მომავალში წყალსადენის მოწყობის შესაძლებლობაზე ინჟინერი მ. ყაუხჩიშვილის დასაბუთებულ მოხსენების შემდეგ, როდესაც ერთმა ხმოსანმა წყალსადენის მოწყობაზე დადგენილების გამოტან მოითხოვა ხმოსანმა კონსტანტინე სულაქველიძემ საბჭოს ხმოსანთა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ზემოაღნიშნულ ხმოსნის საპასუხოთ შემდეგი განაცხადა:—რაც მახსოვს წყალსადენის მოწყობის საქმე ქუთაისში მუდამ ერთ გაყინულ წერტილზე იდგა და ეხლაც იმავე გაყინულ წერტილზე დგას. მარტო მშრალი დადგენილების გამოტანა საქმეს არ უშველის, საჭიროა წყალსადენის მოწყობის საქმე ჩვენ ამ გაყინულ წერტილიდან დავძრათ და ეხლავე მის გასაკეთებლათ რეალური ნაბიჯი გადავდგათ."—„ აქ მტკიცება იმის,—განაცხადა საბჭოს ხმოსანთა ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის სახელით ხმოსანმა ტრიფონ ჯაფარიძემ—თუ რა დიდი ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა აქვს ქალაქისთვის წყალსადენს ზედმეტათ მიმაჩნია, ვიტყვი მხოლოდ შემდეგს: რაკი დღეს ჩვენ საშუალება გვეძლევა და უცხოელი ფირმა გვპირდება მოგვიწყოს პროცენტულათ განსაზღვრული საზიარო ხარჯით (შერეულ პრინციპზე) წყალსადენი ჩვენ ნუ დავაყოვნებთ და წყალსადენის საქმის მოგვარებას ეხლავე შეუდგეთო."—„ქუთაისი მუდამ წყლის ნაკლებობის გამო საშინელ დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი—განაცხადა საბჭოს სხდომაზე ხმოსანთა სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით ხმოსანმა მიხეილ გავაშელმა—სანიტარული წესების დაცვა ქალაქში უწყალსადენოთ წარმოუდგენელია.—წყალსადენის მოწყობას—დასძინა ხმ. მიხეილ გავაშელმა ქალაქის კეთილდღეობა მოითხოვს, ჩვენი დემოკრატიული საბჭოს პირდაპირი მოვალეობაა ქალაქის საარსებო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სასწრაფოთ სათანადო ანგარიში გაუწიოს ინჟინერმა მ. ყაუხჩიშვილმა საბჭოს დაწვრილებით გააცნოს წყალსადენის მოსაწყობათ თუ უცხოეთის რომელ ქალაქში რა მასალის შოვნაა შესაძლებელი და ისიც დასძინა თუ რა ფასებში და როგორ შეიძლება დღეს ევროპაში ამ მასალების შეძენა (ყიდვა). ინჟინერ ყაუხჩიშვილს ყოფილი ქუთაისის ქალაქის მოურავის დიმიტრი კალანდარაშვილის დავალებით ევროპაში ქუთაისში წყასადენის მოწყობის საქმეზე ძალზე ბევრი უმუშავია, ამ საქმეზე მას უცხოეთში სპეციალურად წყალსადენების მომწყობი ბევრ ფირმებთან მოლაპარაკება გაუმართავს და ერთ ასეთ ფირმასთან გერმანიაში, სახელდობ „ტრიტონთან" მას წყალსადენის მოსაწყობათ სათანადო პირობის პროექტი შეუმუშავებია ქალაქისათვის, ამ პირობის პროექტის მთავარ თეზისთს 3 თებერვალს საბჭო გაეცნო და მისი მიღება მცირედი შესწორებების შეტანით ქალაქისათვის მან ხელსაყრელათ აღიარა. მე ჯერ არ მახსოვს (წვრიმალი საკითხების გამოკლებით) განახლებულ საბჭოს რომელიმე საყურადღებო საკითხზე ისეთი ერთსულოვანი დადგენილება გამოეტანოს, როგორი დადგენილებაც მან წყალსადენის მოწყობის დაჩქარებაზე სამ თებერვალს გამოიტანა. საბჭოს ხმოსანი ექიმი დიმიტრი ხაზაროვის წინადადებით დაადგინა ქუთაისის წყალსადენის მოწყობას აუცილებლათ ინჟინერი ქურდიანის პროექტი დაედვას საფუძვლათ. (ნაქერალას მთის მდინარე ხარისთვალიდან წყლის გამოყვანა). ქალაქში წყალსადენის მოწყობაზე საბჭომ ფრიად ღირსშესანიშნავი გადაწყვეტილება მიიღო, მარა თუ როგორც საბჭოში ხმ. კონსტანტინე სულაქველიძემ განაცხადა დადგენილება ჩვენ მხოლოდ ფარატინა ქაღალდზე დავტოვეთ, როგორც ამას ძველი საცენზო უფლებით მოსილი ქალაქის მამები ჩადიოდენ, მაშინ ჩვენ ქალაქში წყალსადენის აგებას ვერასოდეს ვერ ვეღირსებით. საჭიროა სიტყვიდან დაჩქარებით საქმეზე გადასვლა. საბჭომ სამ თებერვალს ღამით სხდომის დამთავრების უმალ ქალაქში წყალსადენის მოწყობის საქმეზე მთავრობასთან და ქალაქთა კავშირთან მოსალაპარაკებლათ საგანგებო დავალებით ტფილისში გაგზავნა ქალაქის მოურავის ამხანაგი სერგო რობაქიძე და ინჟენერი მ. ყაუხჩიშვილი. გვჯერა, ჩვენი მთავრობა და ქალაქთა კავშირი, რომლებსაც ხალხის ჭირ-ვარამი თავის ჭირ-ვარამათ მიაჩნია წყალსადენის მოწყობაზე საბჭოს ერთსულოვან დადგენალებას სიამოვნებით შეხვდება და თავის ავტორიტეტით, ცოდნით, გამოცდილებით, ფინანსებით, დასახულ მიზნის განხორციელებაში ქუთაისს სათანადო დახმარებას აღმოუჩენს.

ქუთაისის ქალაქის საბჭომ ქალაქის განაპირა უბნის საფიჩხიის მცხოვრებლების თხოვნით საფიჩხიის სარკინიგზო ბაქანის ასაგები ხარჯების დასაფარავათ ერთდროულათ ათი ათასი მანეთი (10,000 მან.) გადასდო, და თან დაადგინა: ქალაქის თვითმართველობის 1920 წლის საერთო ხარჯთ-აღრიცხვაში ჩაიტანოს წლიური ბაქანის შესანახი ხარჯები.

ქუთაისის ქალაქის საბჭომ 3 თებერვალს თავის მორიგ სხდომაზე განსაკუთრებით აღნიშნა დიადი ღვაწლი უფასო ქალთა სასწავლებლის დამაარსებელის და ქალაქის ღარიბი მოწაფეების უფასოთ ამღზრდელი პატივცემული მ. ი. ტენჩენკო-რუბანის ქალის და დაადგინა: ამა წლის პირველ იანვრიდან დაენიშნოს მას თვიური პენსია ორი ათას ხუთასი (2500 მან.) ამავე სასწავლებლის ყოფილ მასწავლებელ ქალს ეფიმოვის ასულს კი ამ სასწავლებელში ოც და ათი წლის მოღვაწეობისათვის ათასი მანეთი (1000 მან.) დაუნიშნა თვეში საცხოვრებლათ.

ქუთაისის ქალაქის საბჭომ თავის უკანასკნელ მორიგ სხდომაზე დაადგინა:—მოსამსახურეების შტატით ქალაქის ტელეფონის სადგური მთავრობას გადაეცეს. სადგურის ქონების გადაცემის საბოლოო პირობების დეტალური გამომუშავება საბჭომ ქალაქის გამგეობას მიანდო.—

ქალაქის გამგეობის წევრის ლევან ქორქაშვილის მოხსენებით საბჭომ თავის მორიგ სხდომაზე სამ თებერვალს დაადგინა სასანიტარო თანხიდან დიდ ყაფანთან გაშენდეს ჰიგიენური წესების დაცვით ახალი ბუტკები და ყაფნის მოედანი ცემენტით იქნეს გაკეთებული.

ქუთაისის ქალაქის სასურსათო განყოფილებამ მოქალაქეთა საჭიროებისათვის სიღნაღის მაზრაში შეიძინა ხუთი ვაგონი პურის ხორბალი.—ხორბალს ქალაქი ამ დღეებში მიიღებს.

## თემთა წარმომადგენლების თათბირი.

### სიღნაღის მაზრა.

ბაკურციხის თემის წარმომადგენელი ვაჩნაძე. საბჭოში 20 ხმოსანია. სხდომის დროს ხმოსანი იღებს დღიურად 100 მან. თემის ხმოსანთა შემადგენლობა არ არის სავსებით სასურველი. თემის წინააღმდეგ დიდი აგიტაცია სწარმოებდა, მაგრამ უშედეგოთ. თავიდანვე ყურადღება მივაქციეთ ადმინისტრაციის გაჯანსაღებას და შედეგებიც კარგი მივიღეთ.

გადასახადების შესახებ მომხსენებელი ამბობს, რომ სიმრავლე გადასახადების (სხვა და სხვა გადასახადები) დიდ არევ-დარევას იწვევს, საჭიროა ერთი გადასახადი.

მიწის მიმღებ კომისიების თავმჯდომარეთა მოქმედებას არავინ კონტროლს არ უწევს. საჭიროა ამ კომისიათა კონტროლის უფლება მიენიჭოს თემებს და სამაზრო ერობებს.

სასულიერო პირებთან ხალხს მეტის მეტად ცუდი დამოკიდებულება აქვთ, მღვდელები აუარებელ ფულებს იღებენ სხვა და სხვა მღვდელ მოქმედების ასრულების დროს, შემოდის აგრეთვე საეკლესიო გადასახადები, რომლის ანგარიშს მღვდლები ჩვენ არ გვაძლევენ. შემოსავალი კი დიდია. მათი მოქმედება უკანტროლოა. ისინი თემებს არავითარ ანგარიშს არ უწევენ. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და ერთნაირი ნიხრი იქნას გამომუშავებული, თორემ ამ ჟამად ჯვრის წერაში მღვდელი იღებს 1000 მან. ნათლაში 300 მ. და სხ. ღარიბ ხალხს კი ეს მძიმე ტვირთად აწვება.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ტყის მცველების (ლესნიჩების) მოქმედებას. დღეს ფიჩხის მოჭრის ნებას გლეხებს აძლევენ ის ტყის მცველები, რომელნიც არავითარ ანგარიშს არ უწევენ თემებს და სამაზრო ერობებს, საჭიროა კი ერობებს დაუმორჩილდეს ტყის მცველთა ინსტიტუტი ფიჩხის მოჭრის საქმეში, ვინაიდან თემმა უკეთ იცის თუ ვის უნდა მიეცეს ფიჩხი.

ჩვენში 26 თემია. ისინი კარგათ არიან გადამიჯნული. თითეულ თემში 1500 მეტი კომლი არ არის.

თემებს აუცილებლათ უნდა მიეცეს საკუთარი საბიუჯეტო უფლება, სამაზრო ერობას კი მიეცეს პროცენტები თემის შემოსავლიდან.

სასამართლოს საქმეებში ჩვენ ვერეოდით ხანდისხან, მაგრამ ეს გამოწვეული იყო სასამართლოს აპარატის მოუწყობლობით. თემის უფლებრივი მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. ჩვენ ვღებულობთ კატეგორიულ წინადადებას ბრძანების კილოთი ხარჯთ-ამკრეფი ინსპექტორისაგან, სააქციზო განყოფილებისაგან და სხვ. თემი და მაზრის ერობა კარგ განწყობილებაში არიან. თემს სოფლებში ყავს თავისი რწმუნებული ხმოსანი ორი მილიციონერით.

**სენაკის მაზრის** წარმომადგენელი კიზირია.

ჩვენს მაზრაში წვრილი ერთეულები მოეწყო არსებულ საზოგადოებათა ფარგლებში. თემების გამგეობა შესდგება 3 კაცისაგან: ერთი თავმჯდომარე, მეორე ადმინისტრატიული საქმეების გამგე და მესამე მდივანი. ამ პირთ ინახავს თემი.

თავიდანვე სამაზრო ერობის საშუალებით ყველგან მოეწყო ტელეფონები. სამაზრო ერობის და თემთა შორის კონფლიქტს ადგილი არა აქვს. რაიონებში არსებობს მილიციის უფროსი თავისი მილიციონერებით. როცა საჭირო შეიქნება თემი მიმართავს რაიონის მილიციის დახმარებას. ყველა საზოგადოებრივ საკითხებს არჩევს ხმოსანთა ყრილობა—საბჭო, რომელიც დაყოფილია სხვა და სხვა კომისიებათ, მიწის, საგზაო, სასკოლო, საექიმო—სასანიტარო და სხვ. ყველა კომისიაში შედის ამა თუ იმ კუთხის წარმომადგენელი—ხმოსანი. სამაზრო ერობამ ორჯერ მოიწვია ყველა გამგეობების ყრილობა.

სწავლა-აღზრდის საქმეს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. სკოლებს ხალხი თვითონ აშენებს, მასწავლებელს ინახავს სამაზრო ერობა. მასწავლებელს ნიშნავს სამაზრო ერობა, გარდა ჯამაგირისა ყველა ხარჯებს სოფელი კისრულობს.

გზების და ხიდების კეთება სწარმოებს ხალხის აქტიური მონაწილეობით—ნატურალური ბეგარას ყველა იღებს, საერთო მნიშვნელობის, ხიდეების და გზების კეთების ინიციატივა ეკუთვნის სამაზრო ერობას.

რაიონებში არიან სამედიცინო ექიმები ფერშლებით, არსებობს ბეითალიც. შრატის შოვნა ბოლო ხანებში დიდათ გაგვიძნელდა.

რაიონებში არსებობს უფასო სამკითხველოები. თემები ამ ჟამად იხდიან მხოლოდ თემის გამგეობის, ფოსტის დამტარებლის და დარაჯის ხარჯებს, მეტს ჯერ-არაფერს არ იხდის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხიდებზე, ან სხვა ასეთ რამეებზე ხარჯს. გადამხდელთა სამი კატეგორია არსებობს: შემძლე, საშუალო შემძლე და მესამე კატეგორია ნაკლებათ შემძლე. უღარიბესი გლეხობა არაფერს იხდის. ქურდების წინააღმდეგ სასტიკი ზომებია მიღებული. ხალხმა ფარული კენჭის ყრით აირჩია ქურდები და დადგენილ იქნა, რომ როგორც ძველი, ისე ახალი ნაქურდალი გადახდეს ამ პირთ. ზოგიერთ თემებში ეს ცხოვრებაში გატარდა.

მიწის განაწილება ჯერ-ჯერობით არ დაწყებულა. ჩვენის აზრით ამ საქმეში მიწის მზომელი მხოლოდ ტეხნიკურ მხარეს უნდა ასრულებდეს, მიწის განაწილებას კი თემები უნდა აწარმოებდენ.

ჩვენში სოფლის ერობის დაარსების სურვილს ადგილი არ ჰქონია.

საარსებო წყარო სამაზრო ერობიდან გარდა ათასი მანეთისა არ მიგვიღია. თუ რამე დაგვჭირდება ვახდევინებთ საზოგადოებას.

სოფელი სკოლის, ან სხვა რაიმე ასეთი საქმის კეთებაში თვითდაბეგვრას მიმართავს ხშირად. სამაზრო ერობა ტეხნიკურ დახმარებას უწევს ამ შემთხვევაში თემებს და სოფლებს.

## ერობა

### ბორჩალოს ერობაში

ბორჩალოს ერობამ დაადგინა საადმინისტრაციო დაწესებულებების მოხელეთ და მილიციელებს 1 იანვრიდან მიეცეს ჯამაგირები თანახმად დამფუძნებელ კრების დადგენილებისა. ბორჩალოს ერობა სთხოვს მთავარ კომიტეტს იშუამდგომლოს დამფუძნებელი კრების წინაშე, რათა მილიციის ჯამაგირები გადიდებულ იქნას და მთელი თანხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცემული სრულიად შინაგან საქმეთა სამინისტროს სალაროდან. მთავრობის პროექტის თანახმად სამინისტრო აძლევს 75 პროც., დანარჩენ 25% იძლევა ერობა. ამავე პროექტის ძალით სოფლისა და საზოგადოების კომიტეტების მოვალეობა უქმდება, ამის გამო ერობა ითხოვს ბორჩალოს მაზრაში დატოვებულ იქნას ასეთი თანამდებობანი, მანამ, სანამ შექმნილ იქნებოდეს მაზრაში წვრილი საერობო ერთეულები.

### მთავარ კომიტეტში

ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ ერობათა კავშირის კომიტეტს თხოვნით მიმართა ერთდროული დახმარების შესახებ. კომიტეტმა ამ თხოვნის დაკმაყოფილება გადასდო მომავალ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენამდე.

— ტფილისის სამაზრო ერობამ შუამდგომლობა აღძრა მთავარ კომიტეტის წინაშე 500 ფუთი შაბიამნის და 300 ფუთი გოგირდის დათმობის შესახებ. ერობა პირობას იძლევა, რომ ხსენებული გოგირდის და შაბიამნის ღირებულებას ნაწილ ნაწილად ერთ თვეში გადაიხდის. კომიტეტმა დაადგინა არავის არ მიეცეს საქონელი ნისიათ. ტფილისის ერობას საქონელი მიეცემა ნაწილ-ნაწილად მხოლოდ ნაღდ ფულზე.

— ერობათა კავშირის კომიტეტმა წინადადება მისცა ერობათა სკოლებს გამოიწერონ პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“.

### გურიის ერობაში

ოზურგეთში არსებული 100 საწოლიანი სამხედრო ლაზარეთი, გარდა კრედიტებისა გადაეცა სამაზრო ერობას, რომელმაც უკვე მიიღო ის აღწერით. ეს ლაზარეთი შესდგება ორი ტერაპევტიული და ხირურგიული განყოფილებისაგან, ის მეტად მდიდარია თავისი ქონებით და ხირურგიული მოწყობილობა—ინსტრუმენტებით. ერობამ თავის თავზე მიიღო ვალდებულება საჭიროების დროს მოათავსოს ამ ლაზარეთში ჯარის კაცები საერთო წესით.

— გამგეობამ დააკმაყოფილა სურების თემის სოფ. დიდი ვანის შუამდგომლობა მის სურების თემიდან გამოყოფისა და ცალკე თემად დაარსების შესახებ დიდი ვანის თემის სახელწოდებით. საბჭოს შემადგენლობა უნდა განისაზღვროს ოცი ხმოსნით, რომელთა არჩევნები დანიშნულია 15 თებერვალს.

— დაკმაყოფილდა აგრეთვე დუაბზუს თემის სოფლების: გაღმა-გამოღმა მელექედურის, ბოხვაურის, ოზურგეთისა და ლიხაურის თემის ხ. ექადიის მცხოვრებთა შუამდგომლობა და ეს სოფლები გამოეყო თავ-თავიანთ თემებს და მათგან დაარსდა ცალკე თემი, რომლის გამგეობა მოთავსებული უნდა იქნეს ქ. ოზურგეთში. ხმოსანთა რიცხვი განსაზღვრულია 20, არჩევნები დანიშნულია 15 თებერვალს. ეს სოფლები ირგვლივ აკრავს ქალ. ოზურგეთს, შესდგება სულ 549 კომლისგან. სახელად ამ თემს გამგეობის დადგენილების თანახმად დაერქვა „ოზურგეთის თემი“.

# დავით კლდიაშვილის იუბილე.

### იუბილეს ცერემონიალი.

1) საღამოს 7 საათ. და 20 წ. სასტუმრო „ორიანტიდან“ (სადაც იუბილიარისათვის დამზადებულია ბინა) იუბილიარის მოსაყვანათ ავტომობილით გაემგზავრება მწერალთა დელეგაცია, რომელიც საბჭოს მიერ არჩეულნი არიან მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე კ. მაყაშვილი, საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ნ. შიუკაშვილი და დამსახურებული მწერალნი შიო არაგვისპირელი და ვასილ ბარნოვი.

2) 7 ნახ. საათზე იუბილიარი მობრძანდება სახელმწიფო თეატრში. მას კარებთან შეეგებება მწერ. კავშ. საბჭოს და საიუბილეო კომისიის წევრნი.

3) 7 ს. 45 წ. დაიწყება ივ. გომართელის მოხსენება დავ. კლდიაშვილის შემოქმედების შესახებ.

4) მოხსენების შემდეგ სცენაზე გაიმართება მწერალთა საზეიმო სხდომა, იუბილიარს სცენაზე გამოიყვანენ დამსახურებული ქართ. მწერლები, ამ დროს ორკესტრი შეასრულებს ეროვნულ ჰიმნს. საზეიმო სხდომას გახსნის მწერ. კავშ. თავჯ. კ. მაყაშვილი და მიართმევს იუბილიარს ადრესს ქართველ მწერალთაგან. შემდეგ დაიწყება მილოცვები.

5) ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება იუბილიარის პიესები „უბედურება“ და „დარისპანის გასაჭირი“.

6) სახელმწიფო თეატრში ზეიმის დასრულების შემდეგ მწერალთა კავშირის კლუბში „ქიმერიონში“ იუბილიარის პატივსაცემათ გაიმართება ბანკეტი.

# სატარიფო პალატაში

### რადიო-სადგურის მუშების საქმე.

რადიო-სადგურის მუშებმა შუამდგომლობა აღძრეს სატარიფო პალატის წინაშე რათა ისინი გამოყოფილ იქნენ მელითონეების კავშირისაგან და მოემატოთ ჯამაგირები.

პალატის პრეზიდიუმმა ამ საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინა: შეიცვალოს ძველი კოლექტიური ხელშეკრულება მათ შესახებ და სატარიფო პალატის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ მოემატოთ მათ ჯამაგირები.

### სახელმწიფო თეატრის მუშები.

შრომის კომისარმა განიხილა საკითხი სახელმწიფო თეატრის მუშებისა და კომისარის კონფლიქტის შესახებ. მუშები მოითხოვდენ სხვათა შორის 8 საათის სამუშაო დღის დაწესებას. მხარეები ამ საკითხის შესახებ შეთანხმდენ და თანახმად დადგენილებისა უნდა დაინიშნოს შერეული კომისია 8 საათის სამუშაო დღის და სხვა წესების შემუშავებისათვის, ამიერიდან აგრეთვე უნდა განხორციელდეს სახ. თეატრის მუშებზე სატარიფო პალატის ყველა მომატებანი.

### სტამბების დათვალიერება.

შრომის სამინისტრომ დანიშნა საექიმო კომისია ტფილისის სტამბების დასათვალიერებლად, რომლის მოვალეობაა გაეცნოს მუშების ჯანმრთელობას და ზომები მიიღოს სხვა და სხვა გადამდებ სენის თავიდან აცილებისათვის.

# ცეცხლის წინააღმდეგ ბრძოლა

საერთოთ, დიდი ხანია, რაც შენიშნული იყო, რომ ცეცხლის წინააღმდეგ ბრძოლის საქმე ტფილისში ვერ იყო კარგათ მოწყობილი და საყოველთაო მოვლენათ გადაიქცა, რომ თუ რომელიმე შენობას ცეცხლი გაუჩნდება, თვით ამ შენობის გადარჩენა მცირედის გამოკლებით ვერ ხერხდებოდა და ცეცხლის მქრობელთა რაზმი თავისი მცირე ძალებით იმასღა აღწევდა, რომ ცეცხლი მეზობლათ მყოფ შენობებსაც არ მოსდებოდა. ეხლანდელ და წინამემადგენლობის ქალაქის თვითმმართველობებმა ყურადღება მიაქციეს ამ გარემოებას, მაგრამ არ იყო ხელის შემწყო არც ფინანსიური და არც ტეხნიკური პირობები ცეცხლთან ბრძოლის საქმის გასაუმჯობესებლათ. განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ცეცხლის მქრობელ საშუალებათა და პირობების სისუსტე წარსულ წელს, როდესაც ქ. ტფილისში რამდენიმე დიდი შენობა, საწყობი და ქარხანა დაიწვა, რის შედეგიც იყო მილიონობით ზარალი. 2 უკანასკნელ წლის განმავლობაში ტფილისში 300-ჯერ გაჩენილა ცეცხლი, აქედან 30—დიდი ცეცხლი. საქმეს აბრკოლებდა ის გარემოებაც, რომ არ მოიპოვებოდა ისეთი ერთგული, მცოდნე გამოცდილი და სანდო პირი, რომელიც გამოარკვევდა ცეცხლის მქრობელთა რაზმის და საერთოთ ამ საქმის დაყენების ნაკლს და სათანადოთ გაუძღვებოდა საქმეს.

მიმდინარე წლის პირველ რიცხვებში ქალაქის თვითმმართველობამ ტფილისის ცეცხლის მქრობელთა რაზმის უფროსათ მოიწვია პ. ბერიძე, რომელიც კარგა ხანია, ცნობილი იყო ამ დარგში მუშაობით ჯერ პეტროგრადში, ხოლო შემდეგ ბოლშევიკების მიერ დანიშნული იყო მთელი სამხრეთ რუსეთის ცეცხლის მქრობელთა რაზმების უფროს—ინსპექტორათ.

ახალი რაზმის უფროსი შეუდგა ცეცხლის მქრობელთა და საერთოთ ამ საქმის მდგომარეობასთან გაცნობას და გამოარკვა შემდეგი:

თვით რაზმი ერთობ მცირე რიცხოვანია ქალაქის სივრცის, მოსახლეთა რიცხვის და შენობების რაოდენობასთან შედარებით.

ქალაქის სივრცე უდრის 34 კვადრატიულ ვერსს, მცხოვრებთა რიცხვი დაახლოვებით 400 ათასს უდრის; ქალაქში ამ ჟამათ არის 13 893 სახლი, 348 დიდი სახელოსნო ქარხნები, 2 ცირკი, 17 კინო-თეატრი, 5 თეატრი, 100 მდე აბანო, შემდეგ განსაკუთრებულ მნიშვნელობის შენობები: არსენალი, საავიაციო ძირითადი პარკი, სასხლე, რკინის გზის სახელოსნოები, ტრამვაის პარკი, რამდენიმე საქონლის და სასურსათო დიდი საწყობი და საავტომობილო გარაჟი.

ამავე დროს კი ცეცხლის მქრობელთა რაზმი შესდგება მხოლოდ 63 კაცისგან 90 ცხენით. ეს რიცხვი ძალიან მცირე ყოფილა, რადგან მაშინ, როდესაც სხვა სახელმწიფოებში 500 მოქალაქეზე 1 ცეცხლის მქრობელი მოდის, ტფილისში, რაზმის შემადგენლობა რომ 100 მდე იქნეს აყვანილი, მაშინაც კი თითო ცეცხლის მქრობელზე 4.000 მოქალაქე მოდის.

უფრო უნუგეშო გამოდგა მქრობელთა რაზმის მდგომარეობა საჭირო ხელსაწყობების უქონლობის მხრით და რაც არის, ისიც დაძველებულია. ახალ რაზმის უფროსმა რამდენჯერმე მოაწყო რაზმის საცდელი გამოსვლა.

მქრობელთა რაზმის ახალმა უფროსმა პ. ბერიძემ უკვე შეიმუშავა ცეცხლთან ბრძოლის გაუმჯობესების გეგმა, სათანადო ხარჯთ-აღრიცხვით, რომელიც ქალაქის გამგეობამ პრინციპიალურათ მოიწონა.

განზრახულია მქრობელთა რიცხვი 100-მდე იქნეს აყვანილი, შეძენილ იქმნას საჭირო ხელსაწყობები, იარაღები და 2 საბარგო ავტომობილი.

გეგმაში მთავარ ყურადღებას იპყრობს ერთი პროექტი:

შენიშნულია, რომ ქალაქის დიდი სივრცის გამო მქრობელთა რაზმი დროზე ვერ უსწრობს ცეცხლს, ვიდრე იგი გაძლიერდებოდეს, განსაკუთრებით, თუ ცეცხლი ქალაქის რომელიმე განაპირა უბანში მოედო. უპირველეს ყოვლისა განზრახულია რაზმის შემადგენლობიდან გამოყოფილ იქნეს 25 კაცისაგან შემდგარი მცირე რაზმი, რომელიც მუდმივათ უნდა იმყოფებოდეს მტკვრის მარცხენა მხარეზე, რისთვისაც უნდა დაჭერილ იქნეს ყოფილ მოხალისე მქრობელთა რაზმის ბინა, ნიკოლოზის ქუჩაზე, № 106 და შეძენილ იქნეს ამ რაზმის ქონება. ამას გარდა ქალაქის განაპირა უბნებში: ნავთლუღსა, ნაძალადევსა, დიდუბესა და ვაკეში მოეწყობა მქრობელთა მუდმივი პოსტები, სადაც იქნება თითოში 6—10 კაცი 2 პატარა კასრებით, 1 მანქანით და 4 ცხენით. ამათ მიემატება კიდევ ადგილობრივ უბნის მცხოვრები მოხალისე მქრობელნი. მტკვრის მარცხენა ნაპირზე რაზმის განყოფილების და განაპირა უბნებში მქრობელთა პოსტების მოწყობა ბევრათ გააადვილებს ცეცხლთან ბრძოლას, ვინაიდან: ცეცხლის გაჩენისთანავე დროზე მოსწრებული 6—10 მქრობელი უფრო მეტს გააკეთებს ვიდრე მთელი რაზმი, თუნდაც რამდენიმე 100 კაცისგან შემდგარი, რომელიც მანძილის სიშორის გამო მხოლოდ მაშინ მივა ხოლმე ცეცხლ გაჩენილ ადგილთან, როცა ცეცხლი უკვე გამძვინვარებულია.

ზემოხსენებულ გეგმით განზრახულია აგრეთვე მქრობელთა დაზღვევა ქალაქის ხარჯზე.

გეგმის ავტორის გამოანგარიშებით ამ საქმის მოსაწყობათ ერთ დროულათ საჭიროა 402.000 მან. და ამას გარდა პროექტის განხორციელება გამოიწვევს ხარჯების გადიდებას ყოველწლიურათ 188.253 მანეთით.

ზ.


განცხადებანი

# სააქციო საზოგადოების ტფ. პირველი კერძო ლომბარდის

გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1920 წლ. თებერვლის 29-ს დღის 12 საათზე, გამგეობის ბინაზე, ქ. ტფილისში, ლორის მელიქ. ქ., № 8 შესდგება საზოგადოების აქციონერთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება შემდეგი საკითხების განსახილველად.

1. 1919 საოპერაციო წლის ანგარიშისა და ბალანსის განხილვა და დამტკიცება, აგრეთვე მოგების განაწილება და დივიდენდის გამორკვევა.

2. ახალ საოპერაციო წლის მოქმედების გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.

3. გამგეობიდან გამოსულ წევრის კონსტანტინე თულაევისა და კანდიდატის არშაკ კუსიკოვის მაგიერის არჩევა.

4. სარევიზიო კომისიის 5 წევრის არჩევა.

5. მიმდინარე საკითხები.

იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ ვადაზე საზოგადო კრება, არ შესდგა, ამით ინიშნება მეორე ვადა კრებისა 1920 წ. მარტის 14-ს დღის 12 საათ., იმავე ბინაზე. უკანასკნელი კრება კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

203 1—1

პავლე კირილეს ძე პორტონვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ორი ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1902 წ. 7 თებერვალს, № 272, და 1903 წ. 17 ივლისს № 1660, სიგელი გაუქმებულათ ითვლება.

258 3—1

ნინო ნესტორის ასული კალანდაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან აღებული მატრიკული № 722, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

254 3—1

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე თეთრაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სასურსათო ბარათი, სამი სულის. ბარათი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

253 3—1

ალექსი კალისტრატის ძე ბოინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პროფესიონალური კავშირიდან აღებული წიგნაკი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

255 3—1

ტფილისის ოლქ. სასამ. ბოქაული ბეზკროვნი აცხადებს, რომ 1920 წლ. მაისის 15-ს, დილის 10 საათზე, იმავე სასამართლოში დანიშნულია მის მიერ საჯარო ვაჭრობა არშაკ ლაზარეს ძე ნაზაროვის უძრავ ქონებაზე ტფილისის საბირჟო ბრტელის ვალის დასაკმაყოფილებლათ სულ 10.000 მ. % და ხარჯებით 212 მ. 20 კ. მამული მდებარეობს ქ. ტფილ. მე-7 უბანში, კონსტანტ. ქ., № 32 და შეიცავს მიწის ნაჭერს ზომით 109 1/2 კვ. ს., რომელზედაც არის 2 სართულიანი სახლი ათი ოთახით და სამი სამზარეულოთი ზემო სართულში და იმდენითვე ქვემო სართულში. მამული შეფასებულია 350000 მ. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებათ საჭიროა წარმოდგენა საწინდარის—ფასის ერთი მეათედისა. მამულის აწერილობისა და სხვა საბუთების დათვალიერება შეიძლება ყოველ დღე სასამართლოს კანცელარიაში.

205 1—1

თებრონია ქუსიკაშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა სახლის წიგნი (გარეშენის შესახვევი № 14) რაც გაუქმებულად ჩაითვალოს.

265 3—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ელვირა მარგარიტა კარლის ასულმა ლავრენოვისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი გიორგი მარკის ძე ლავრენოვი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1914 წ. 15 ოქტ., უკვალოდ დაიკარგა 1917 წლიდგან, რის გამო აღნიშნული ელვირა კარლის ასული ლავრენოვისა თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ გიორგი მარკის ძე ლავრენოვის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში.

214 3—1

ტატიანე მიხეილის ასული კრუგლეკოვა აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი № 3020 რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

234 3-3

გვარდიელი ნიკოლოზ გეორგის ძე საგინელიძე აცხადებს, რომ მან დაკარგა თოფის („ვინტოვკის“) № 235621 ტარების ნებართვა აღებული 1 უბნის შტაბში. ნებართვა გაუქმებულათ ჩაითვალოს.

235 3—2

სავლე მელქისედეკის ძე ზუზაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული სოფ. სეზანოს კომისარიატიდან, № 2. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

237 3-3

ვლადიმერ ბიქტორის ძე ალავიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მეტრიკული მოწმობა და ფეხსაცმელის სახელოსნოდან აღებული მოწმობა. აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს.

218 3—3

სტუდენტი ს. ქარციძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა № 6, აღებული ტფილისის პოლიტეხნიკუმის კანცელარიიდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.

238 3—3

დაკარგული რკ. გზ. ზედნადები (ნაკლადნაია) № № 26241, 26263 ქუთაისი—ტფილისი, გაუქმებულათ ითვლება. ი. ა. ფრეიმანი.

226 3—3

დაკარგული ზედნადები (ნაკლადნაია) № 27768, ბაქო—ფოთი, გაუქმებულათ ითვლება. დ. ს. მერკოვიჩი.

227 3—3

გრიგორი თომასის ძე როსტომიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და მოწმობა, აღებული მიხტიევის ქარხნიდან. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს.

228 3—3


სტამბა ხაზართველოს ... 
რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჭავარიანი